შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“ აცხადებს

ტენდერს N A/001 აუდიტორულ მომსახურებაზე

1. შესყიდვის ობიექტის დასახელება;

წინამდებარე ტენდერის **შესყიდვის ობიექტია აუდიტორული მომსახურება,** კერძოდ, ფასიანი ქაღალდების, აქციების, წილების შეფასება, უძრავ/მოძრავი ქონების შეფასება, ქონების კაპიტალში შეტანა/ამოღების შედეგად კაპიტალის ფორმირების შესახებ აუდიტორული დასკვნების მომზადება, ქონების საბაზრო გასაყიდი ფასის დამდგენი აუდიტორული დასკვნების მომზადება, ქონების საბაზრო საიჯარო ფასის დამდგენი აუდიტორული დასკვნების მომზადება, უძრავი ქონების დემონტაჟისა და მოძრავი ქონების საუტილიზაციო ღირებულებების დამდგენი აუდიტორული დასკვნების მომზადება.

2.მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა;

- 2018 წლის განმავლობაში, საერთო ჯამში, მოსამზადებელი იქნება დაახლოებით 300-ზე მეტი დასკვნა;
- შეფასება უნდა განხორციელდეს უძრავი და მოძრავი ქონების, ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შემდგომი სავარაუდო გამოყენებისა და მიზნობრიობის გათვალისწინებით;
- შეფასება უნდა განხორციელდეს შეფასების საერთაშორისო სტადარტებზე დაყრდნობით და უნდა ითვალისწინებდეს იმ მეთოდოლოგიასა და მიდგომებს, რომლებიც ცალსახად არის დაფიქსირებული შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (International Valuation Standarts committee) მიერ გამოქვეყნებულ შეფასების საერთაშორისო სტანდარტებში;
- შემოთავაზებულ მეთოდოლოგიაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სტანდარტების შესაბამისად შემოთავაზებული მიდგომა და ჩასატარებელ სამუშაოთა აღწერა თითოეული ტიპის შესაფასებელ საგანზე;

- **ტენდერში გამარჯვებული** აუდიტორული კომპანია ვალდებული იქნება სამი სამუშაო დღის განმავლობაში მიაწოდოს აუდიტის დასკვნა ელექტრონულ ვერსიასთან ერთად დამკვეთს

(გამონაკლის შემთხვევებში დასკვნის მომზადებისა და მიწოდების ვადები დარეგულირდება ურთიერთ მიმოწერით)

3. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ფასების ცხრილი ქ. თბილისის და რეგიონებისა, ასევე შესაფასებელი ობიექტის კატეგორიების გათვალისწინებით (შესაძლებელია, პრეტენდენტმა წარმოადგინოს დამატებითი და დეტალური ფასების ცხრილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
    - სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში;

4. დამატებითი მოთხოვნები და პირობები;

- მომსახურების მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარებიდან არაუმეტეს სამი სამუშაო დღის ვადაში. შეტყობინების ჩაბარებად ჩაითვლება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის ელექტრონული ფოსტის (info@amadco.ge), ან საფოსტო გზავნილის სახით გაგზავნილი დავალების მიღება. მომსახურების გაწევის ვადის ათვლა დაიწყება შეტყობინების მიღების მომდევნო დღიდან. მომსახურების გაწევის (შეფასების აქტის წარმოდგენის) ადგილია ქ. თბილისი, კოსტავას ქ.N70;
- პრეტენდენტმა კომპანიამ, იმ პირების შესახებ, რომლებიც ჩართულები იქნებიან წინამდებარე ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ, საერთაშორისო სტანდარტის – ISO/IEC 17024 შესაბამისად აკრედიტირებული სერტიფიკაციის ორგანოს მიერ გაცემული ქონების შემფასებლის მოქმედი სერტიფიკატები და კომპანიასა და სერტიფიცირებულ შემფასებლებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების ვადაც უნდა განისაზღვრებოდეს არანაკლებ 2018 წლის 31 დეკემბრისა;
- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 500 000 (ექვსასი ათასი) ლარის ბრუნვა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჯამურად. აღნიშნულის დასადასტურებლად, პრეტენდეტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს 2015, 2016 და 2017 წლის დღგ-ს დეკლარაციები;

5. ანგარიშსწორების პირობები;

ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადახდო დოკუმენტის შემსყიდველისთვის მიწოდების დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში (იმის მიხედვით, რომელიც უფრო გვიან მოხდება);

6. გამარჯვებულის გამოვლენა (შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულება გაუფორმოს ერთ, ან რამდენიმე კომპანიას (მათ შორის იმ პრეტენდენტს, რომელსაც წარმომადგენლობა გააჩნია საქართველოს მასშტაბით). სატენდერო კომისია გამოავლენს გამარჯვებულ კომპანიებს 27 მარტამდე.

ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირებმა წინადადებები უნდა წარადგინონ მიმდინარე წლის 23 მარტის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N70, II სართული. ტენდერი ჩატარდება ეგრეთწოდებული ერთი კონვერტის პრინციპით.

- ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი;
- ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია უნდა იყოს ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) თანდართული ელ-ვერსიით (CD);
- პრეტენდენტები, რომელთა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი, ან სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნება წარმოდგენილი სრულყოფილად ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დაიშვებიან შეფასებისათვის.

7. მომწოდებლის მიერ წარმოსადგენი ძირითადი დოკუმენტაცია

- ❖ სატენდერო წინადადება (მ.შ. ფასების ცხრილი)
- ❖ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ❖ კომპანიის მოღვაწეობის შესახებ მოკლე ინფორმაცია (საქმიანობის მოკლე აღწერა, გამოცდილება, პარტნიორი კომპანიების ჩამონათვალი და ა.შ.);
- ❖ შემფასებლების მონაცემები, რომლებსაც გააჩნიათ საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ, საერთაშორისო სტანდარტის – ISO/IEC 17024 შესაბამისად აკრედიტირებული სერტიფიკაციის ორგანოს მიერ გაცემული ქონების შემფასებლის მოქმედი სერტიფიკატები;

- სარეკომენდაციო წერილები (მინიმუმ 2).

**მომწოდებლის მიერ წარმოსადგენი დამატებითი ინფორმაცია**

- *ფაქტობრივი მისამართი;*
- *კომპანიასთან საკონტაქტო პირის სახელი/გვარი;*
- *ტელეფონ(ებ)ი;*
- *E-Mail/ Web-გვერდი.*
- *დღგ-ს დეკლარაციები*

სატენდერო კომისია განიხილავს სატენდერო წინადადებებს და **გამარჯვებულად გამოავლენს კომპანიას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით:**

- **მომსახურების ღირებულება;**
- **მოწოდების ვადები;**
- **კომპანიის გამოცდილება;**

სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა: *2018 წლის 23 მარტი 18:00 საათი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ.N70, II სართული.*

მიუხედავად შედეგებისა, ტენდერში მონაწილე ყველა კომპანია ინფორმირებული იქნება ტენდერის შედეგების შესახებ.

*სატენდერო პროცედურასთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ :*

თამარ ჯაფიაშვილი

ტელ.: (+995 032) 2 22 65 33 (19)

ელ. ფოსტა: tamar.japhiashvili@amadco.ge